პროექტი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30.05.2022, №010250050.35.123.016615), კერძოდ, დადგენილების დანართში (,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის დებულება"):

1. შეიცვალოს დადგენილების დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ადმინისტრაციული სამსახური (შემდგომ, სამსახური) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საფუძველზე შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების საქმისა და არქივის წარმოებას, მათ კომუნიკაციას ერთმანეთთან; „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორიელების ხელშეწყობას და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. მერიის სამსახურების საქმიანობის სამართლებრივ მომსახურებას; ადამიანური რესურსების მართვას; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობის ორგანიზებას მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან და სხვა გაერთიანებებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; მერიის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას, საჯარო ინფორმაციის რეესტრის წარმოებასა და საჯარო ინფორმაციის გაცემას; მერიის თანამდებობის პირების პრესკონფერენციების, ბრიფინგებისა და პრეზენტაციების ჩატარების ორგანიზებას, მერიის საქმიანობის შესახებ ყოველთვიური პრესდაიჯესტის მომზადებასა და გამოქვეყნებას; მერიის ურთიერთობას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან; მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში; მერისთვის წარსადგენი წინადადებების მომზადებას შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო

გადაწყვეტის გზების შესახებ; სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას, მოსახლეობისათვის საკრებულოსა და მერის სამართლებრივი აქტების გაცნობას, მოსახლეობის კომუნიკაციის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფას საკრებულოსთან, მერიასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან."

2. დადგენილების დანართის მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ი[1]" პუნქტი:

,,ი[1]. ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დაწესებულებისათვის განსაზღვრული უფლებამოსილების უზრუნველყოფა."

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათი

,,,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშრებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვის მიზნით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით საჯარო დაწესებულება და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ამუშავებენ დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს, ვალდებულნი არიან დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც განახორციელებს ამავე კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი:

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ხსენებულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება დაევალოს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს - ადმინისტრაციულ სამსახურს. აღსანიშნავია, რომ, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში 2023 წლის 27 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით, მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულში - ადმინისტრაციულ სამსახურში დაემატა პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი) შტატი.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ფინანსურ ხარჯებთან.

3. დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

დადგენილების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული იურიდიული განყოფილება.

4. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი - იოსებ ხახალეიშვილი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი პეტრე ადამაძე.

იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი